შეხვედრის ოქმი
19 მარტი, მარნეული

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ მარნეულში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა.

შეხვედრის ფარგლებში სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა სულხან სალაძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრა დაიწყო ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მიმდინარე რეფორმის განხილვით. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს საკუთარი გამოცდილების შესახებ და აღნიშნეს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტიდან არაერთხელ მიუღიათ სასურველი ინფორმაცია; მათ დადებითად შეაფასეს ინფორმაციის მიღების დროული და შეუფერხებელი პროცედურა. დამსწრეთა ნაწილმა ისაუბრა ზოგადად არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შესახებ და აღნიშნა, რომ საზოგადოების ნაწილმა არ იცის ვის მიმართოს საჭირო ინფორმაციის მისაღებად. ბევრი მათგანისთვის კომპიუტერი და ინტერნეტი სხვადასხვა მიზეზით მიუწვდომელია. შეხვედრის მონაწილეები ფიქრობენ, რომ ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა იკისროს ადგილობრივმა თვითმმართველობამ და ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად საჯრო გახადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

- შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ ისაუბრა მათ პირადობის მოწმობებში სახელებისა და გვარების ჩაწერასთან დაკავშირებულ უზუსტობებზე. შეხვედრის მონაწილეთა თქმით, აღნიშნულის გამოსწორება გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, რაც თვლიან, რომ იუსტიციის სახლმა უსასყიდლოდ უნდა განახორციელოს. შეხვედრის დამსწრეებმა ისაუბრეს ზოგადად, საჯარო სერვისებზე დაწესებული ტარიფების შესახებ და გამოთქვეს სურვილი, აღნიშნული გადაიხედოს, ვინაიდან მათი ინფორმაციით, საზოგადოების უმრავლესობისთვის დადგენილი ტარიფები მაღალია და შესაბამისად არ არის ხელმისაწვდომი.

- შეხვედრის მონაწილეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია HR.GOV.GE–სა და MY.GOV.GE–ის შესახებ. საჭირო ინფორმაციის მიღების შემდგომ, მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ

აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. HR.GOV.GE–ის გაცნობის შემდგომ, შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა კონკურსში მონაწილე პირებს ყოველ მომდევნო საკონკურსო ეტაპზე გადასვლის ან პირიქით შესახებ ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიეღოთ.

- შეხვედრის მონაწილეთა მიერ დადებითად შეფასდა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდი. შეხვედრის დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია დეკლარაციების მონიტორინგის/კონტროლის მექანიზმის დანერგვა და შესაბამისად, მიესალმნენ საჯარო სამსახურის მიერ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმისთვის შემოთავაზებულ ვალდებულებას თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით.